ურთიერთგაგების მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა და სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტს შორის

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია და სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი

(შემდგომში „მხარეებად წოდებულნი“);

აღიარებენ რა, ორ ორგანიზაციას შორის არსებულ თანამშრომლობას; და

გამოხატავენ რა, აკადემიური სწავლების და კვლევითი საქმიანობის განხორციელების სფეროში უფრო მჭიდრო თანამშრომლობის სურვილს;

თანხმდებიან შემდეგზე:

1. წინამდებარე მემორანდუმი მიზნად ისახავს მხარეთა შორის რეგულარული ურთიერთობების შენარჩუნებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის საჭირო პირობების შექმნას საერთო სარგებელსა და ნაცვალგების საფუძველზე;

2. მხარეები ურთიერთსასარგებლოდ მიიჩნევენ ერთობლივი ღონისძიებების ინიცირებას, რომლებიც, სხვა აქტივობებს შორის, გულისხმობს შემდეგს:

ა. ცოდნის გაზიარება. მხარეები ითანამშრომლებენ ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით, შესაბამისი სასწავლო და კვლევითი პროგრამების, სხვადასხვა სასწავლო კურსების, სემინარების, სამეცნიერო კონფერენციების და სხვა აკადემიური, საგანმანათლებლო და სასწავლო ღონისძიებების დარგში;

ბ. აკადემიური პერსონალის გაცვლა. მხარეები წაახალისებენ პროფესორების, ექსპერტების, მკვლევარების, სამხედრო ინსტრუქტორების ერთმანეთთან დაკავშირებასა და გაცვლას, მათ აქტიურ ჩართულობას მოწვეული სპიკერების პროგრამაში, რათა განხორციელდეს ცალკეული ლექციების, სემინარების, კურსების ჩატარება ეროვნული თავდაცვის აკადემიიდან – სამხედრო/უსაფრთხოების თემატიკის, ხოლო დიპლომატიური კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტიდან - საგარეო პოლიტიკური/დიპლომატიური თემების

გ. სწავლებისა და კვლევების წახალისება. მხარეები ხელს შეუწყობენ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, ისევე როგორც ინფორმაციის გაცვლას ეროვნულ და საერთაშორისო გამოცემებზე, განსაკუთრებით საერთო ინტერესის სფეროებში. გარდა ამისა, მხარეები უზრუნველყოფენ თანამშრომლობის გაღრმავებას, ერთობლივი აკადემიური ნაშრომების/პუბლიკაციების შექმნისა და გამოქვეყნების მიმართულებით;

დ. ღონისძიებებზე ახალგაზრდა დიპლომატთა/იუნკერთა დასწრება. მხარეები მხარს დაუჭერენ დაგეგმილ შიდა სალექციო კურსებზე, სემინარებზე, კონფერენციებზე ახალგაზრდა დიპლომატების/იუნკერების დასწრების უზრუნველყოფას, შესაბამისი კვოტების გამოყოფით;

ე. პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. მხარეები მხარს დაუჭერენ ტრენინგების მონაწილეთა - სტუდენტთა/იუნკერთა/ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გაცვლას შესაბამის სასწავლო კურსებზე და ტრენინგებზე დასასწრებად;

ვ. სწავლების მეთოდოლოგიის გაზიარება. მხარეები ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას და შეხედულებებს დიპლომატიისა და სამხედრო/უსაფრთხოების სფეროში ტრენინგების, სწავლებისა და კვლევების საერთაშორისო მიმართულებებისა და მიღწევების კუთხით. ასევე მოხდება ელექტრონული სწავლების მეთოდების გაზიარება და სასწავლო მასალების გაცვლა.

ზ. მხარეებს შეუძლიათ წინამდებარე მემორანდუმის მიზნების ფარგლებში ასევე განახორციელონ სხვა ტიპის თანამშრომლობა. ცალკეული ღონისძიებების ჩატარება და სხვა სახის ერთობლივი ქმედებების განხორციელება მოხდება მხარეებს შორის შემდგომი მოლაპარაკების შესაბამისად ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

3. მხარეები ერთობლივად განსახორციელებელი პროექტების დეტალებსა და საორგანიზაციო საკითხებზე გადაწვეტილებებს მიიღებენ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, გაცვლასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდება პროტოკოლით დადგენილი წესებით და პირობებით;

4. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და იმოქმედებს სამი (3) წლის ვადით. რის შემდეგაც, შესაძლებელია ის ავტომატურად განახლდეს იგივე პერიოდებით, თუ რომელიმე მხარე მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტამდე ოთხმოცდაათი (90) დღით ადრე წერილობითი ფორმით არ აცნობებს მეორე მხარეს მემორანდუმის მოქმედების

შეწყვეტის შესახებ. მემორანდუმის გაუქმება გავლენას არ ახდენს მიმდინარე პროექტებზე;

5. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ნებისმიერ დროს საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, მხარეთა ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე;

6. წინამდებარე მემორანდუმის განმარტებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ერთობლივად, მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე.

ხელმოწერილია 2018 წლის 31 ივლისს, ორ დედნად, ქართულ ენაზე.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სახელით	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის სახელით
პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე აკადემიის რექტორი	თინათინ ბრეგვაძე ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
_____	_____